# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 216. ხუთშაბათი, 6 მაისი 1904 წ. გაზეთის № 2488

# მართლ-მსაჯულება

გრ. გ. ბობრინსკაიასი.

სამოთხისა და ჯოჯოხეთის შესავალში უმაღლეს მსაჯულებს, სიკეთესა და სიბრძნეს, სხდომა ჰქონდათ. იმათ თვალწინ მრავალი სული მიდიოდა მწყობრად, მართლ-მსაჯულება კი დინჯად კითხულობდა დავთარში ამა თუ იმ სულის კეთილ და ბოროტ მოქმედებას. მრავალ ერთფერ და ერთგვარ სულებს შორის გაირჩეოდა ორი, რომელნიც ერთად წარსდგნენ მსაჯულთა წინაშე. ერთი წყნარი, მოკრძალების ნაბიჯით მიილტვოდა, მშვიდად უცქეროდა მსაჯულთ და ისმენდა თავის სიცოცხლის ისტორიას, რომელშიაც მრავალგვარი სიყვარული, მოთმინება, თავდავიწყება და თავდადება ისმოდა. რაღაც მომჯადოებელმა ძალამ ჩანთქა ყოველი და ნაზი ღიმილი ირთოდა ჰაერში.

მკაცრად დაიწყო სიკეთემ:

— უდიდესი ნიჭი სიყვარულისა, თავდავიწყების, და თავ-განწირულებისა ღირსეულად მოგიხმარებია,—დიდება შენ! მაგრამ ნიჭი უფლისა—რისხვა ბოროტების წინაშე—სადღაა? ვერ ვხედავ შენში: ეგ ნიჭი არ მოგიხმარებია.

მდ. იალუსთან ბრძოლის დროს მოკლულნი



ჰოლკოვნიკი ლაიმინგი.

მსაჯული მკაცრ ხმაზედ ათრთოლდა სული და ფერმიხდილმა წაიჩურჩულა:

— მეშინოდა, სიყვარული არ დამეკარგა, ღონე არა მქონდა...

უფრო მკაცრად დაიქქა მსაჯულმა:

— სუსტ სულს არა აქვს ადგილი სამოთხეში: სუსტია სიყვარული, რომელიც მრისხანებას არ იჩენს. დაბრუნდი კვალად მიწაზედ და არა მარტო ანათე, არამედ დასწვი ყოველი,—სიყვარულის ძალა მრისხანებაშია.

უკანასკნელი სიტყვები სიკეთისა ჯერაც ჰაერში თრთოდა, როდესაც მსაჯულთა წინაშე წარსდგა მთლად მთრთოლარე მოუთმენლობით მეორე არსება, ცარიელი ჩონჩხი. სიხარულით აღსავსე ჩქარობდა მიეპყრო ყველას ყურადღება. მსაჯულთ მრისხანე ხმაზედ ეს არსება უფრო წინ იწევდა, ჰღელავდა, სცდილობდა სიტყვა ჩამოერთო მსაჯულისათვის. როდესაც სიჩუმე ჩამოვარდა, აღფრთოვანებული უფრო წინ წარსდგა და დაიწყო:

— დიდო მსაჯულო, ჩემი სიცოცხლე მრისხანებაში გავატარე, ყველგან მხოლოდ ბოროტებას ვხედავდი, ყველაზედ ვწყრებოდი: ჩემი სიცოცხლე იყო აყეფებული მდინარე ყვედრებისა და ძრახვისა; ყველგან ბოროტებას ვეძებდი და არა



ჰოდჰოლკოვნიკი დომმეტი.



ჰოდჰოლკოვნიკი ვ. ა. მურავსკი.

სიკეთეს. მოხარული ვარ, რომ მივაღწიე მართლმსაჯულებას, რომელიც ღირსეულად დააფასეს...

— კმარა!—ზიზღით გააწყვეტინა სიბრძნემ და ყველამ უკან დაიწია.—ეგ ხომ დაცინვაა უფლისაგან მონიჭებულისა! შური და ბოროტება,—აი რითი სცოცხლობდა ეს არსება. გაჰგზავნეთ უკან, მიწაზედ, ისწავლოს თავმდაბლობა და სიყვარული.

ნ.



პოდპორუჩიკი თავ. ალ. ვახვახიშვილი, რომელიც ტიურენჩენის ბრძოლაში დაიკარგა და დღემდე არ იციან, მოკლულია თუ ტყვედ წაყვანილი.



გენერალი კაშტალინსკი,
დივიზიის უფროსი, დაჭრილი იალუსთან ბრძოლის დროს.



იაპონიის ცხენოსანი ჯარის-კაცი.



გენერალი კუროკი,
იაპონიის პირველ ლაშქრის სარდალი.



იაპონიის ქვეითა ჯარის იერიში

# იაპონიის ჯარი




1. მზვერავი რაზმი.
2. ფონში გადიან.
3. სროლა.
4. არტილერია სანგრებში.

1. სურსათის ზიდვა.
2. არტილერიის ჩასაფრება.
3. პანტონის ხიდის გაკეთება.

# წვრილი ამბები

ჯილდოც ასეთი უნდა. ამერიკაში ამას წინად გარდაიცვალა ერთი ქალი, გვარად სიკლეი. სიკლეი მდიდარი იყო და ნათესავებს 200 ათასი მანეთი უანდერძა. სხვათა შორის თავის შინაურ ექიმსაც დაუტოვა ჯილდო,—დიდი ჩემადანი რიღაცით სავსე, რომელზედაც ეწერა „ჩემ კარგ ექიმსაო“ ანდერძით ეს ჩემადანი ექიმის სახლში უნდა მიეტანათ და თვით ექიმს გაეხსნა. ჭირისუფალნიც სწორედ ასე მოიქცნენ. როდესაც ორმა მუშამ დროგიდან ძლივ-წვალებით ჩამოიღო ჩემადანი და ხვნეშით ექიმის სახლში შეიტანა, გახარებულმა ექიმმა სთქვა: „ვიცოდი, რომ კეთილი სიკლეი არ დაივიწყებდა ჩემს ამაგს; დარწმუნებული ვარ, ჩემადანში ძვირფასი რამე იქნებაო.“ ამ იმედით ჩემადანი თავის კაბინეტში შეატანინა, მიიხმო მეგობარნი და შეუდგა იმის გახსნას. როდესაც თავი აჰხადა, გაოცებულმა პირი დააღო: ჩემადანი სავსე იყო წამლის შუშებით. თურმე რაც ექიმს ოცი წლის განმავლობაში წამალი გამოუწერია სიკლეისთვის, ამ უკანასკნელს არც-კი გაუხსნია, ისე შეუნახავს. ამნაირად ძვირფასი საჩუქარი ექიმის მიერვე გამოწერილი წამლები გამოდგა.

—

მოხერხებული რეპორტერი. ამას წინად ჰოლანდიის ახალგაზდა დედოფალი ვილჰელმინა ამსტერდამის სახალხო სასადილოს დასათვალიერებლად შესულა. დედოფალმა გასინჯა საჭმელი; დაათვალიერა სამზარეულო და შემდეგ ჰკითხა მზარეულ ქალს—სად ინახავთ სურსათსაო. მზარეულმა მაშინვე გააღო დიდი შკაფის კარი და ამაყად სთქვა; „აი, თქვენო უდიდებულესობავ, ჩვენი სურსათი“. ამავე წამს დედოფალმა, მის თანხლებულ მანდილოსნებმა და მზარეულმა ქალმა შეჰკივლეს შიშისაგან: შკაფში მამაკაცი იდგა. მაშინვე, დედოფლის თანადასწრებით გამოძიება მოახდინეს და აღმოჩნდა, რომ მამაკაცი ერთის ადგილობრივის გაზეთის რეპორტერი იყო, რომელსაც განზრახვა ჰქონდა დაწვრილებით აეწერა დედოფლის მისვლა სახალხო სასადილოში და ამისთვის შემძვრალიყო შკაფში. დედოფალმა ბევრი იცინა; წასვლის დროს მოხერხებულ რეპორტერს ხელი ჩამოართვა და უთხრა: „გთხოვთ გამომიგზავნოთ გაზეთის ის ნომერი, რომელშიაც თქვენი ანგარიში დაიბეჭდება“.



— ოღონდ შენ ტირილს თავი დაანებე და ხილის მოსაპარად წამოგყვები!



— არა, ძალუაჩემო! საიდუმლო სიყვარულისთანა არა არის რა ქვეყანაზე!
— შეიძლება საიდუმლოდ მეც ვისმე ვუყვარდი.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.